დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №25

2019 წლის 27 დეკემბერი

ქ. დმანისი

„დმანისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ტიპური ფორმის დამტკიცების შესახებ“დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივლისის დადგენილებაში N18 ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2-ე პუნქტების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 -ე მუხლისა და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების მე-4 მუხლის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **დაადგინა:**

მუხლი 1.

“დმანისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ტიპური ფორმის დამტკიცების შესახებ“დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივლისის N18 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 17/07/2015; სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.156.016212) შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

1. დადგენილებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^1 და 3^2 მუხლები:

„მუხლი 3^1

დამტკიცდეს დმანისის მუნიციპალიტეტი ნასყიდობის ხელშეკრულება თანახმად დანართი №4-სა.

მუხლი 3^2

დამტკიცდეს დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით (იჯარა, აღნაგობა, უზუფრუქტი და სხვა) გადაცემისას ელექტრონული (პირობით/უპირობოდ) აუქციონის გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი დანართი N5-ის შესაბამისად.“

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე

დმანისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე მერაბ ოქრიაშვილი